**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1892 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892



გაზეთი „ივერია“ მარტის პირველიდამ წლის დამლევამდე ღირს 8 მან. 75 კაპ.

## „ივერია“

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც სურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.



ქართული თეატრი

კვირას, 8 მარტს,

ქართულ დრამატიულ არტისტების ამხანაგობისაგან

მ. მ. საფაროვის თაოსნობით

წარმოდგენილი იქნება მეორედ ახალი პიესა:

**დ ა მ ქ ა**

ორიგინ. დრამა წარსულ ცხოვრებიდგან 5 მოქ., თხზ. კ. გუნიასი. თავ. ოტია ჯოლიას როლს შეასრულებს კ. ყიფიანი, თავ. გაიოზ ფალავასას ვლ. ალექსი-მესხიშვილი და მარინეს როლს კნ. ავალიშვილისა.

მეხუთე მოქმედების პირველ სურათში ქართული ხორო ბ-ნ რატილისა იტყვის რამდენსამე ხალხურს სიმღერას და ბოლოს იგალობებს ლოცვას.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია შეგირდებისათვის კუპონები ლოჟაში ჰღირს 50 კაპ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

(2—0—1)


## ახალი ამბავი

*** გამოცხადებულია ფინანსთა მინისტრის განკარგულება იმის შესახებ, თუ რა წესი უნდა იქმნას მიღებული დაგირავებულ მამულების საჯაროდ გაყიდვის საქმეში. იმ მამულის პატრონს, რომელიც ბანკში დროზედ არ შეიტანს ფულს, ორის თთვის ვადა ეძლევა, იმ პირობით, რომ შესატან ფულებისა თთვეში 1% ჯარიმა გადიხადოს. ამას გარდა, ბანკის მმართველობას უფლება ეძლევა შესაწყნარებელ მიზეზის გამო ექვსის თთვის ვადა მისცეს ფულის შემოტანისა, იმ პირობით, რომ პირველს ორს თთვეს შესატან ფულზედ $^1/_2$% ჯარიმა გადაიხადოს და დანარჩენ თთვეებში-კი 1%. ეს განკარგულება არ შეეხება იმ შემთხვევებს, როცა დაგირავებულს მამულს რაიმე უბედურება ეწვევა, მაგალითებრ დასეტყვა, მოუსავლობა, გვალვა და სხვ. ამ შემთხვევაში ფინანსთა მინისტრი განსაკუთრებულს შეღავათს აძლევს დაგირავებულ მამულების პატრონებს.

*** გუშინ დღისით, 12 საათზედ, შემდეგი უბედურება მოხდა კუკიის ხიდზედ. ალექსი მჭედლიშვილს ფურგუნი მიჰყავდა და, როცა მადათოვის კუნძულზედ ჩაუხვია, ფურგუნმა ქვეშ მოიყოლა იქვე მიმავალი ერთი 60 წლის მანდილოსანი. საბრალო მაშინვე გარდაიცვალა. მიცვალებული საანატომიო თეატრში გაგზავნეს, ხოლო ამ საქმის გამო ოქმი შეადგინა პოლიციამ და კანონისამებრ მომრიგებელს მოსამართლეს გადასცა.

*** ამ დღეებში მოხსენებული გვქონდა, რომ წერეთლის მიერ ხანჯლით დაჭრილი გოგორიშვილი, ექიმების სიტყვით, ჭრილობას ვერ გადურჩებაო. ეხლა ნამდვილად შევიტყეთ, რომ გოგორიშვილი რჩება და მალე სრულიად გასაღდება.

*** ორშაბათის, 12 ამ თთვეს კრებაზედ, ქალაქის საბჭომ სხვათა შორის უნდა განიხილოს გარდაწყვეტილება აღმასრულებელ კომისიისა იმის შესახებ, რომ ცხვრის ხორცს ფასი გირვანქაზედ ერთი კაპეიკი მოემატოს, ე. ი. 8 კაპ. მაგიერ 9 კაპ. დაინიშნოს.

*** ამას წინად სომხურ გაზეთებიდგან გადმოვბეჭდეთ, რომ სტამბოლის ეპისკოპოსი ხორენ ნარბეი გარდაიცვალაო. ეს ამბავი ტყუილი გამოდგა. ტფილისში მოვიდა დეპეშა, თითონ ნარ-ბეის გამოგზავნილი. ეპისკოპოსი იწერება, ტფილისში ვაპირობ ჩამოსვლას, თუ პატრიარქმა აშიკიანმა ნება მომცაო.

*** ხვალ, 8 მარტს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგურში პ. რ. პრიტულენკო წაიკითხავს ლექციას აბრეშუმის მოყვანის შესახებ.

*** მიხეილის სამკურნალოში წარსულს თებერვალს მიუყვანიათ გადამდებ სენით ავადმყოფნი: ყვავილით—6, წითელით—4, ხუნაგით—13, ჩუტყვავილით—1, შავის სახადით—11, წითლის ქა.ით—6, სახადით—2, დიზინტერიით—2, ფილტვების ანთებით—13, ჭლექით—15, ჭაობის ციებ-ცხელებით—15, სულ 88 კაცი.

*** დღეიდგან, ესე იგი 7 მარტიდგან დაიწყება ტფილისის კრუჟოკში კითხვა ლექციებისა, რომელიც ითავა კავკასიის სამკურნალო საზოგადოებამ რუსეთის დამშეულთა სასარგებლოდ. პირველს ლექციას წაიკითხავს დღეს, საღამოს 8 საათზედ, წევრი საზოგადოებისა მკურნალი ბ-ნი ბაბაევი: საზოგადო განხილვა ჰიპნოტოზის შესახების საგნისა; 11 მარტს, ოთხშაბათს, ბ-ნი არწრუნი: დაწვრილებით განმარტება ჰიპნოტოზის ამბავთა და გარემოებათა ნისლოვანის სურათებით; 14 მარტს, შაბათს, გორალევიჩი: ჰაერი შინ და გარედ ნისლოვანის სურათებით; 18 მარტს, ოთხშაბათს, გრიგორიევი: გადამდები ანუ მოარული ავადმყოფობანი და დეზინფექცია, ვითარცა ღონისძიება მათ წინააღმდეგ საბრძოლველად; 21 მარტს, შაბათს, ლორისმელიქოვი: აღზრდა ყმაწვილებისა ჯანმრთელად; 25 მარტს, ოთხშაბათს, მონტვილი: მოვლა ყმაწვილებისა პირველს წელს მათის დაბადებისას; 27 მარტს, პარასკევს, ფინკელშტეინი: მკურნალობა ავადმყოფობის ასაცილებლად საზოგადოდ. პასტერის აცრა ცოფიანისგან დაკბენილისა. ფასი ლექციებზედ დასწრებისა მანათ ნახევრიდგან დაწყებული თითო აბაზამდეა. ბილეთების ყიდვა შეიძლება „კრუჟოკში“.

*** არტისტ-ქალს მ. მ. საფაროვისას განუზრახავს ამ დიდ-მარხვაში დასის შედგენა და წარმოდგენების გამართვა და ეს აზრი უკვე განუხორციელებია. დასი ისევ ის არის, რომელიც ამ სეზონში არსებობდა. სხვათა შორის, დასში მონაწილეობას მიიღებენ: კ. ყიფიანი, ალექსი-მესხიშვილი, გაბუნია და ანდრონიკაშვილისა. წარმოადგენენ ამ დიდ-მარხვის განმავლობაში „ჰამლეტს“, „და-ძმას“, „გაძარცულ ფოსტას“, «ორ ობოლს» და სხვა პიესებს.

*** ამ ჟამად ავჭალის ქუჩაზედ დიდი მილი კეთდება უწმინდურობისა და წვიმის წყლისათვის. ძლივს ეშველებათ ავჭალის ქუჩის მცხოვრებლებს და თავიდგან ასცილდებათ ის გაჭირვება, რომელიც წვიმის დროს ადგათ. წვიმა-ავდრის დროს ამ ქუჩაზედ ისეთი ნიაღვარი მოდის ხოლმე, რომ ქვეით ადამიანის გავლა ზოგჯერ ყოვლად შეუძლებელია.

*** ამ მოკლე ხანში ტფილისის მაზრის უფროსი ბ-ნი ჯანდიერი გაე-

# ფელეტონი

## ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი.

(შემდეგი. იხ. „ივერია“, 1892 წ. № 47)

ევროპიელების ძველი სამართალი ცემასაც ბრალად აღიარებდა. ზოგი სამართალი ამბობდა, ეს ბრალი მსუბუქად უნდა გარდახდეს კაცსაო, ზოგი კიდევ სასტიკად ეპყრობოდა მცემელს. მაგ., რუსების Правда და ლონგობარდების სჯული აღგენდა, ცემა სათაკილო და სამარცხვინოა და ამიტომ დაკოდვაზე უფრო მძიმე ბრალიაო [311]). საათაბაგოს სამართალიც სწორედ ამ აზრისაა: „თუ ხელდახელ გარჯილ იყოს და სცეს, სისხლისა ნახევარი დაუურვოსო“ (მუხ. რკზ). თაკილსა და სირცხვილს, რასაკვირველია, უფრო „ზემონი“ მისდევდნენ, ცემაშიაც სისხლის ნახევარი იმათ ეურვებოდათ—„ქვემოს“ ამდენს სისხლს აბა ვინ აღირსებდა! საათაბაგოში ცემა მრავალ გვარი ყოფილა და ეს გარემოება ცხოვლად გვიხატავს იმ დროინდელ ზნე-ჩვეულებას.

ზოგჯერ ცემა თავისებურადაც სცოდნიათ. აი მაგალითი: „ცოტას სამდურავისა რასათვისმე“ თავის მამულში მყოფს შეიპყრობდნენ, სცემდნენ და ჯლეხით *) სხვის მამულში გადაათრევდნენ—„თუ კაცმან... თავის სამამულესა შიგან მყოფი ნახოს, იმჯნოს (ხელი აილოს) და შეიპყრას, სცეს, შეკრას, შეხსნას და აქვნდეს, თუ სხვა რაცა წარაქციოს ჯლეხითა, წინა მისი მზღვარი განვლოს და მიიყვანოსო“. ასეთი ნაცემი „პირშავად და აუგიანად (სარცხვინელად) იქნების კაცთა გვერდისა“ და სისხლის ნახევარი უნდა დაეურვოსო (მუხ. ით). აქ საყურადღებოა, რომ სხვის მამულში ვისიმე ხელთ შეპყრობა არ შეიძლებოდა—„პატრონისა მეტი კაცი კაცისას ხელთა შეპყრობასა არა ღირსაო“. ზოგან ეხლაც მამულს ასეთი პატივი აქვს და ხშირად გაიგონებთ—სხვის მამულში რა ნება გქონდა, რომ ხელი შემახეო. სამდურავი საკმაო საბუთი იყო, კაცი შეეპყრათ და დაეხუთათ. ამას ერთი ჩვეულება ამტკიცებს, სახელდობრ კაცისასასა მიმავალის და ვისგანმე გაგზავნილის დახუთვა [312]). მართალია, მიმავალს და გაგზავნილს „უმტერო კაცი კაცსა არას ემართლების“, მაგრამ „როცა წყენა და ნაცვალი მისი დასაკლისი მოიგონოს, ყველასა ემართლებისო“ (მუხ. პა) და, მაშასადამე, დახუთვასაც ემართლებოდა. მხოლოდ საჭირო იყო, წანაღები დაებრუნებინა პატრონისათვის, დახუთვა-კი ბრალად არ ედებოდა. თუ ხელთა შეპყრობა და დახუთვა, და ისიც სამდურავის გამო, შესაწყნარებლად მიაჩნდათ, მაშ ცხადია, რომ საათაბაგოში პირადს თავისუფლებას ჯეროვანი პატივი არ ჰქონდა. თვითნებლობასა და უწესოებას იმ ვაგლახს დროს დიდი მოედანი ეჭირა და საკვირველიც არაა, რომ ასე ყოფილა. მონგოლების ბატონობამაც გავლენა იქონია ზრდილობიანსა და თავაზიანს საათაბაგოს მკვიდრზე. ამ ბატონობამ იგი გააველურა და პირადის თავისუფლების პატივი დაუკარგა. სამართალი მხოლოდ სასულიერო კაცის ხელთ შეპყრობას უკრძალავდა. მეფესაც-კი არ შეეძლო ეპისკოპოზი, მოძღვარი, მღვდელი და მონოზანი შეეპყრა,—თუ ეპისკოპოზმა მეფეს შესცოდა ანუ მეფე ეპისკოპოზს გაუწყრა „უსამართლოდ გინა სამართლითა“, „მისდა მუქაფად“ (საპასუხოდ) შეხვეწნა და შეწყნარება უნდაო (მუხ. რბ, რგ). უეჭველია, სხვას უფრო ნება არ ჰქონდა სასულიერო კაცი მძლავრებით ხელთა შეეპყრა და სამართალი აღგენდა—„ვინც დიდმან ანუ აზნაურმან, ანუ სხვამ“ მონოზანი და მღვდელი შეიპყრას, სისხლს გარდა, ხუთი ათასი თეთრი სხვა დაუურვოს და „თუ გვარიანი იყოს ანუ ხელის მქონებელი, მისსა სისხლსა ნახევარი სისხლი ემატოსო“ (მუხ. რე). მაგრამ შესანიშნავი ისაა, რომ მარტო სასულიერო წოდებას ჰქონდა მინიჭებული პირადი თავისუფლება. სამართალი ამას აღიარებს და ეს ხომ საბუთია, რომ „ერისგანს“ პირადის თავისუფლების პატივი აკლდა.

შინაური უწესოება და არეულობაც ხელს უმართავდა თავისუფლების შებღალვას. შავსა და ბნელს სურათს წარმოადგენს იმ დროინდელი ცხოვრება. თუ რა ძლიერ გადუხჭირდა ზნე-ჩვეულება, ამას სამართალი ჰმოწმობს—ჩხუბი და ერთმანეთის თავის მტვრევა არაფერია და „ომი“ კაცს დანაშაულად არ ჩაეთვლებისო: „თუ კაცი კაცს ომით მოერიოს, გამარჯვება ეყოფის და თანა ნურას წაიტანსო“, ვითომ და თითონ „ომი“—ჩხუბი ყურადღებად არა ღირდეს!... სამართლის სატყვით, „ომი“ დანაშაული მხოლოდ მაშინ არის, თუ გამარჯვებულმა დამარცხებული თავის სახლში მიიყვანა—„ამით არცხვენსო“ და სისხლის ნახევარი დაუურვოს, წანართმევიც უკან მისცესო (მუხ. კ). მართალია, ათაბაგი გაუპატიოებას ბრა-

[311]) Зак. и Об. на Кав. II. 280—1.

*) ჯ ლ ე ხ ა—ცხენის მიქუსვლა - მოქუსვლა, ს. ს. ორბელიანი.

[312]) მონგოლების სამართალში ხშირად იხსენიება მ ი მ ა ვ ა ლ ი და გ ა გ ზ ა ვ ნ ი ლ ი, посланецъ, Леонтовичъ, Ойратскій уставъ взысканій, ст. 20, 24, 31—5, 124.

მგზავრება სოფ. ხაშმში გადასარგველ სავენახეს გასაშენებლად. ამ საქმისათვის 200 ოთხ-კუთხი საჟენის ოდენა ადგილია შემოღობილი, რომელშიაც 22,000 ვაზის რქა უნდა ჩარგონ. ეს რქები კახეთის საუკეთესო ვაზებისაგან არის აღებული.

*** ამ დღეებში დაიბეჭდა კავკასიის საზებიო ინსტიტუტის ანგარიში. ანგარიშიდგანა სჩანს, რომ $16^1/_2$ წლის განმავლობაში საზებიო ინსტიტუტში მიუღიათ აღსაზრდელად 1,215 ყმაწვილი, ორთა შუა რიცხვით წელიწადში 74 ბავშვი. რაც შეეხება ყმაწვილების გამოსაზრდელს ხარჯს, პირველ $6^1/_2$ წლის ანგარიში არ არის, უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში-კი 163,654 მან. და 53 კაპ. დახარჯულა. იმავე დროს განმავლობაში საზებიო ინსტიტუტში 2,264 ბავშვი გაუზრდიათ, ასე რომ თითო ყმაწვილისათვის წელიწადში 72 მ. და 28 კაპ. დახარჯულა.

*** სოფ. კარჯანული (ბათუმის მხარა): ამ სოფელში სულ მაჰმადიანი ქართველები სცხოვრობენ. თითონ მეც მაჰმადიანი ქართველი გახლავართ და ერთს აქაურს ოჯახში სტუმრად ვიყავ ჩემის სოფლიდგან მისული. საღამო ჟამი იყო. მივარდა-მოვარდა ლაპარაკი და ბოლოს მოვყეთ საუბარს ქართულ წიგნების შესახებ. შარშან ზაფხულს აქ დაერიგებინათ რამდენიმე ქართული წიგნი და ჩემი მასპინძლები იმ წიგნების გონებაში იყვნენ: შენ იცი წიგნი და წაგვიკითხავდი რასმეო. ბოლოს ველარ მოითმინეს და გაჰგზავნეს კაცი ღამე წიგნის საშოვრად მეზობლისას, რომელთანაც ეგულებოდათ შარშან დაბეჭდილი ლექსთა კრება. წავუკითხე რამდენიმე ლექსი და დიდად ისიამოვნეს. ჩემის ფიქრით, ფრიად კარგი იქმნებოდა, რომ ამ ზაფხულსაც მოიტანდნენ ტფილისიდგან აქეთ წიგნებს, ამათთვის ადვილად წასაკითხავს. შეიძლება ბევრმა შეიძინოს და იქნება ზოგმა იმისთანამაც, რომელმაც წერა-კითხა არც-კი იცის.

*** სოფ. ხორში (სამეგრელო): ამას წინად აქაურს მცხოვრებს გ.—ას ეწვივნენ შუაღამისას ქურდები და მოჰპარეს, გარდა ავეჯეულობისა, ქალისა და კაცის ტანსაცმელიც. ამავე ღამეს ისევ ის ქურდებივე პ. პ—იასთანაც მიპრძანებულან, მაგრამ აქ-კი ვერაფერი უგდიათ ხელში. აქედგან ხელ-ცარიელები ო. პა—იას მისჭრიან და მოუპარავთ თოთხმეტი თხა. მეორე დღეს, როგორც ამბობენ, იგივენი სოფ. საწულეისკირიოში მისულიყვნენ და იქ მოეპარათ ორი ძროხა ზ. წ—რისთვის. თებერვლის მიწურულში გ. პ—იას წისქვილში საფქვავი წაეღო ცხენით. საღამო ჟამი ყოფილა, როცა მისულა ადგილას, ცხენიდან საპალნე მოუხდია და შიგ შესულა წისქვილში, ცხენი-კი ბოძზედ მიუბავს. პატარა ხანს უკან გამოვიდა თურმე გარედ და სადღაა ცხენი! მორთო ყვირილი, ცხენი მოჰპარესო, და ხან იქით იარა და ხან აქეთ, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, როგორც ზემოხსენებულთ, ისე ამანაც ველარ იპოვნა დაკარგული.

*** იქიდამვე: სხვა-და-სხვა მოარულ ავადმყოფობას გარდა, წელს ინფლუენცა ჩვენც გვესტუმრა. აქეთკენ ნამეტანი სასტიკი ზამთარი იყო.

*** ახალ-სენაკი: კარგა ხანია, რაც ჩვენს დაბაში არავითარი ავ-კაცობა არ მომხდარა. მხოლოდ თებერვლის 23-ს აქაურს მოვაჭრეს კლიტით დაკეტილ სამზარეულოდგან ერთი კარგი ცხენი მოჰპარეს. მარტმა პირველად გაგვიღიმა და მშვენიერის დღეებით გვესტუმრა, მაგრამ ვშიშობთ, ვაი თუ ბოლოს თავისებურად კუდი მოიქნიოს.

*** ოთხშაბათს, 4 მარტს, რიყეზედ, სომხის ბაკში, პოლიციის მოხელემ ვაშაძემ და პოლიციის მოსამსახურემ კალატუზოვმა ფურგონებში ოთხი ფუთი კონტრაბანდის ჩაი და 200 ცალი დაშლილი თოფი იპოვნეს. საქონლის პატრონებმა ახვარსი ახვაჯიევმა და აზიდ-მაშადი-შუკუროღლიმ განაცხადეს, რომ ერთმა უცნობმა კაცმა მოგვცა სპარსეთში გასაგზავნადაო. დამნაშავენი შეიპყრეს და საქმე გამომძიებელს გადასცეს („Л. Т.“).

*** „მწყემსი“ ამბობს: როგორც შევიტყეთ, ბათუმის მართლ-მადიდებელ ეკკლესიის პირველ მღვდლად დაუნიშნავთ მ. რალცევიჩი, მეორე მღვდლად მ. ივანიცკი და მესამე მღვდლად მედავითნის ადგილზედ დაუნიშნავთ ქართველი.

*** იგივე გაზეთი სწერს: „მწყემსი“-ს რედაქცია უკვე შეუდგა ვენახის ობისა და ნაცრის ექიმობის შესახებ დარიგების ბეჭდვას. დარიგება დაიბეჭდება ორი ათასი ცალი და ხალხს მუქთად დაურიგდებაო.

*** სასიხარულოდ, ამ ბოლოს დროს ჩვენში ძლიერ გავრცელდა მეფუტკრეობა. ყველამ იცის, თუ რა ცუდად ეპყრობიან ფუტკრებს პატრონები, როცა მათ ჰსურთ თაფლის გამოღება სკიდგან. მთელს სკას წყალში ჩააგდებენ, რომ ფუტკრები დაიხოცოს და მერე თაფლს იღებენ. ახალის სისტემის სკები ჯერ კიდევ არ არის გავრცელებული სოფლებში. ამისათვის ამ ახალის სკების დასახედავად და მოსაპოვებლად მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ დ. ყვირილაში დეკ. დ. ღამბაშიძეს, რომელიც ახალის სისტემით აშენებს ფუტკრებს. მსურველთ აქვე შეუძლიანთ მიიღონ ყოველივე დარიგება ფუტკრების მოვლის შესახებ („მწყემსი“).

*** ამას წინად დერპტის უნივერსიტეტის საფარმაცევტო ინსტიტუტში გასინჯეს სახლისათვის სახმარებელი ქსოვილები და შპალერები. აღმოჩნდა, რომ გასინჯულს ქსოვილებსა და შპალერებში 10—15% დარიშხანა ყოფილა („Нов“.).

*** 5 მარტს ახალ-ჰოლანდიის ქუჩაზე იპოვნეს რამდენისამე დღის დაბადებული ბავშვი და საზებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

## საეპარქიო მთავრობის განკარგულებანი

ახალს ადგილზედ გადაყვანილ იქმნენ:

მღვდელნი ბუშათის სამრევლოსი სიმონ ბოდაშვილი და ვახნამიანის სამრევლოსი ლაზარე აბრამაშვილი, თავიანთისავე თხოვნის თანახმად, გადაყვანილ იქმნენ ერთი მეორეს ადგილზედ.

მღვდელნი კაკაბეთის წმ. მარინეს ეკკლესიისა იოანნე მატათიშვილი და ჭიკაან-გუშჩატანის ღვთის-მშობლის ეკკლესიისა ალექსანდრე მატათიშვილი, თავიანთისავე თხოვნის თანახმად, გადაყვანილ იქმნენ ერთი მეორეს ადგილზედ.

დიაკვნები მცხეთის ტაძრისა ევგენი ნახუცრიშვილი და სართიჭალის სამრევლოსი გიორგი ნუცუბიძე, თავიანთისავე თხოვნის თანახმად, გადაყვანილ იქმნენ ერთი მეორეს ადგილზედ.

შტატს გარეშე მყოფი მღვდელი გარსევან დეკანოზიშვილი, თავისისავე თხოვნის თანახმად, დანიშნულ იქმნა გუჯარეთის სამრევლოში.

უადგილოდ მყოფი მღვდელი მიხეილ პაჩიკაშვილი, თავისისავე თხოვნის თანახმად, დანიშნულ იქმნა თიონეთის მაზრის სოფ. გულევის სამრევლოში.

შტატს გარეშე მყოფი დეკანოზი თევდორე იოსებაძე მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის, საქართველოს ექსარხოსის მიერ დამტკიცებულ იქმნა დუშეთის მაზრის მღვდელ იოანნე ეგზულის სამბლაღოჩინოს მოძღვართა მოძღვრად.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. გურამიანთ-კარი** (დუშეთის მაზრა): შარშან ზაფხულს გურამიანთ-კარის სასოფლო საზოგადოება დიდის სიხარულით მიეგება თავისის სასოფლო კანცელარიის სადგურის აგების დღეს სოფ. არაშენდაში. ეს შენობა მართლა რომ მშვენიერი და კოხტად მოწყობილი იყო. ვამბობთ იყოო, რადგანაც, თუმცა ეხლაც არსებობს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენთვის-კი უსარგებლოა. სოფლის საზოგადოებამ რის ვაი-ვაგლახითა და გაჭირვებით შეაგროვა საჭირო ფული და 100 თუმანზე მეტი დახარჯა კანცელარიის აშენებისათვის. ახალი კანცელარია ყველას მოსწონდა, რადგანაც სამაგალითო რამ იყო. ასე იფიქრეთ, ქალაქის საუკეთესო შენობა გეგონებოდათ. კანცელარიის შენობა განიყოფებოდა ოთხ ნაწილად: ერთი დიდი დარბაზი დათმობილი ჰქონდა მომჩივანს ხალხს და მოაჯირით განცალკევებული იყო სოფლის მსაჯულთა განყოფილებისაგან. მესამე ოთახი „სუდიების“ ცალკე სათათბიროდ იყო დანიშნული, მეოთხე კიდევ—მარტო მამასახლისისა და სოფლის მწერალისათვის. მსაჯულთა სტოლს წითელი მაუდის სუფრაც-კი არ აკლდა. ამ ნაირი გარეგნობა და მოწყობილობა კეთილად ჰმოქმედებდა გლეხ-კაცობაზედ, რომელიც მეტად პატივის-ცემით და მოწიწებით ეკიდებოდა, არა თუ მარტო მსაჯულებს, არამედ თვით სადგურსაც. ერთი წელიწადი არ გასულა, რაც ჩვენი სოფლის საზოგადოება სტკბებოდა ამ კანცელარიით და თავი მოსწონდა ახლად შემოღებულის წეს-წყობილობით. მაგრამ დახე ჩვენს ბედ-ილბალს!... წარსულს თებერვალს დუშეთის მაზრის უფროსისაგან მოგვივიდა ბრძანება, რომ კანცელარია უნდა დაიკეტოსო. აქეთ ვეცით, იქით ვეცით, მაგრამ ველარაფერი ვერ მოვახერხეთ და ვერ ვუშველეთ საქმეს. დღეს მაზრის უფროსის ბრძანება აღსრულებულია და კანცელარია დაკეტილია. სოფლის შენობით აღარავინ არა სარგებლობს. აქამდის კარგად არ ვიცით, რა მიზეზია, რომ ასე სასტიკად მოგვექცნენ. ზოგიერთი ამბობს, კანცელარია სხვის ადგილზედ არის აშენებულიო და ამიტომ დაგვიკეტესო. მაგრამ ყველამ იცის, რომ ის ადგილი, რომელზედაც აშენებულია კანცელარია, სოფლის საზოგადოებას აჩუქა მაშინდელმა პატრონმა, თავადმა ლევან ციციშვილმა, და ამის სათანადო ბარათიცა აქვს სოფელს.

ნუ თუ ამდენი ხარჯი და წვალება ამაოდ ჩაივლის ჩვენთვის? ნუ თუ კანცელარიას არ დაგვიბრუნებენ ხელ-ახლად?

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

„Нов. Обоз.“-ის გუშინ-წინდელს ნომერში დაბეჭდილია ფრიად საყუ-

---

ლად სდებს კაცსა, მაგრამ გაუპატიოება არა ნიშნავდა „ომს“, რომელსაც ასე სწყალობდა სჯული. გაუპატიოებას მაშინ სხვა ხასიათი და მნიშვნელობა ჰქონდა და აწინდებურს არ მიაგავდა. ჯერ ერთი, რომ გაუპატიოება „ზემოდ მჯდომთ“ შეეხებოდა და „ქვემონი“ სათვალავში არ იყვნენ. მეორედ—გაუპატიოება ძალ-მომრეობით გლეჯა-წართმევასა და სააზნაურო გლეხების ცემასა ნიშნავდა: „გაუპატიოს და კიდეც წაუღოს, ხელისხელ ყმანიცა დაუხოცნესო“. გაუპატიოებას ზედ უნდა დართოდა ყმების დარბევა, მათი გალახვა და მხოლოდ მაშინ, „რაცა მას დღეს წაღებოდეს ანუ წახდენოდეს“, დაურვებინონო. შეიძლებოდა აზნაური გლეხსაც გაეუპატივებინა და მაშინ პასუხი გლეხის პატრონს უნდა გაეცა (მუხ. ლვ). ევროპაშიაც ასე ყოფილა [313]). რაც უნდა იყოს, საათაბაგოში ყმების დარბევა გაუპატიოებად ცნობილია და დანაშაულად აღიარებული. მაგრამ რად? განა სამართალი საზოგადოდ გლეხის გაუპატიოებას სდევნიდა? ალბულა ამისას არაფერს ამბობს—გაუპატიოება მარტო ბატონს შეეხება და ყმების დარბევა იმის შეურაცხებააო. ზოგჯერ ასეთის შეურაცხებისათვის სისხლში გლეხს აძლევდნენ—„თუ დარბაზის კაცსა სისხლში მცირედში კაცი ჰყვესო“ (მუხ. ჟთ). ცხადია, რომ „ქვემოთა“ პირადი თავისუფლება ადვილად ხელ-შესახები ყოფილა.

განსაკუთრებულს დანაშაულს შეადგენდა ეგრედ წოდებული საბლის მობმა, თავზე ნიფხვის მოხვევა. ეს დანაშაულიც აშკარად ჰღაღადებს, თუ რა მცირე ფასი ჰქონდა კაცის პატივისცემას. არა სწერია, როდის და რა მიზეზის გამო ჩაიდენდნენ ხოლმე ამ სამარცხვინო დანაშაულს. ალბულა მხოლოდ აღნიშნავს, რომ საბლის მობმა და ნიფხვის მოხვევა მთელს საზოგადოებაში ყოფილა გავრცელებული და იგი სათაკილო ბოროტება უმეტესად თავს ატყდებოდა დაძაჯაბნებულს—ხნიერსა და მოხუცებულსაო. ალბად ბოროტება ომის ველზედ ვარჯიშობდა და საბაბად გამარჯვება მიაჩნდა. სამართალი დიდად სჯიდა საბლის მომბმელსა და ნიფხვის მომხვეველს, „ამად, რომ უფროსი სირცხვილი და კაცთაგან შესაყივარი აღარა იქნების-რა, სიკვდილსა დიდად უარეაო“ (მუხ. კბ). ალბულა მთელს სისხლს უჩენდა დამნაშავეს და სისხლის მეტობა ჰმოწმობს, რომ კაცის დამამცირებელს ჩვეულებას ფესვი ღრმად ჰქონია გადგმული ცხოვრებაში. ასე გასინჯეთ, ეხლაც-კი დარჩენილია ნაშთი ამ ჩვეულებისა და როცა ქართველი თავისს მეტოქეს მუქარით ეუბნება—„შენი ნიფხავი მეხვიოს თავზედ, თუ ასე და ისე არ გიყოვო“, ამ სიტყვებით უნებლიედ ძველს ჩვეულებას იგონებს. რასაკვირველია, სადაც პირადს თავისუფლებას ჯეროვანი პატივი არა ჰქონდა, იქ მეზობლის გაცემაც იშვიათი ამბავი არ იქნებოდა. საათაბაგოში გახშირებული იყო მეკობრობა და მტაცებლობა, რომელსაც თან მეზობლის გაცემაც მოსდევდა. ეს დანაშაული უაღრესი უარყოფაა კაცის თავისუფლებისა და ალბულაც სასტიკად შეებრძოლა მავნებელს ჩვეულებას—„თუ კაცმან მეზობელი გასცეს, ნახევარი წამლებმა ზღოს და ნახევარი გამცემელმან დაუურვოს საპატიჟოო“ (მუხ. რლზ). მაგრამ განა აღმოიფხვრა გაცემა?

ყოველს სამართალში მოიპოვება ბევრი ისეთი ბრალი *), რომლის ქმნა მხოლოდ სიტყვით შეიძლება. ასეთი ბრალი სიტყვიერი შეურაცხებაა. გინება სწორედ ამ შეურაცხებას შეადგენს. ძველად ზოგიერთი სამართალი სრულიად არა სთვლიდა გინებას ბრალად. მაგ., გერმანელებს, კელტებსა და რუსებს გინება არაფრად მიაჩნდათ და იმათ სამართალში გინების შესახებ არა სწერია-რა [314]). ფრანგები სხვა ნაირად ჰფიქრობდნენ იმათი Lex Salica არა თუ გინებას აღიარებდა ბრალად, არამედ საგინებელ სიტყვასაც მნიშვნელობას აძლევდა და ამის მიხედვით სასჯელს აწესებდა—ვინც სხვას მელა უთხრას, სამი სოლიდი გადიხადოს, თუ სიტყვა კურდღელი ჰკადროს, ექვსი სოლიდი მისცესო და სხ. [315]). სჩანს, ფრანგებს ძველადვე ზრდილობიანი სიტყვა-პასუხი ჰყვარებიათ. ასეთი სიტყვა-პასუხი არც საათაბაგოში სძულდათ და ამიტომ ალბულამაც გინება ბრალად სცნო, თუმცა-კი გინების საქმე დაწვრილებით არ გადმოგვცა. საათაბაგოს სამართალში ყოველ გვარი გინება ბრალად არაა მიჩნეული და, ამას გარდა, გინება გლეხ-კაცობას არ შეეხება—გლეხს შეეძლო, რამდენიც ჰსურდა, გლეხისათვის ეგინებინა. სამართალი მხოლოდ მაღალ წოდებისათვის აწესებდა, გინება ბრალიაო—„თუ დიაცი აგინოს, თორმეტი გლეხი დაუუროვს... მამაკაცისა და დიაცისა საპატიოსა უნდა გამონახვაო“ (მუხ. რლა). თორმეტის გლეხის დაურვება და სიტყვა „საპატიო“ ცხადად ამტკიცებს, რომ გინება „ზემოთათვის“ იყო ბრალად გაჩენილი და „ქვემონი“ გინებისათვის სისხლს მაშინ იურვებდნენ, როცა ზემოდ მჯდომებს სიტყვით შეურაცხებას აკადრებდნენ—«თუ ულირსმან საპატიოს აგინოს, მას უფროსი მართებსო» (მუხ. რლბ). მოხსენებული არაა, რა სიტყვა უნდა ეთქვა ბრალდებულს, რომ დიაცის გინება გამოსულიყო. თვით სიტყვა «დიაცი» ზოგადი სახელია და ყველა ქალს ეთქმოდა. საგინებელ სიტყვის გამოსაცნობლად ისევ ფრანგების სამართალს უნდა მივმართოთ.

---

[313]) Совр. Об. и Др. Зак. II. 108—9.

*) ბრალი—მცირე რამ დანაშაულია, ს. ს. ორბელიანი.

[314]) Совр. Об. и Др. Зак. II. 145.

[315]) Беко, 139.

რადღებო წერილი „ვეტერან“-ისა ფელეტონად ტფილისის თვით-მმართველობის შესახებ. ახალმა საბჭომ, ამბობს ბ-ნი „ვეტერან“-ი: დიდის გულმოდგინებით მოჰკიდა ხელი თავის მოვალეობას, ახალი ხმოსნები შეუერთდნენ ოპოზიციას და მოიწადინეს გამგეობისათვის ძველი დიქტატურა ჩამოერთმევინათ და მხოლოდ ის გაეკეთებინათ, რაც ქალაქის კეთილდღეობისათვის არის საჭირო. მაგრამ გამგეობამ შექმნა ერთი ალიაქოთი, ოპოზიცია მხოლოდ საქმესა ჰრევს, სწეწავს და სხვას არაფერს არ აკეთებსო. ამის ღაღადება იმიტომ დაიწყო გამგეობამ, რომ უნდოდა ამითი ოპოზიციისთვის ნდობა დაეკარგა საზოგადოებისა.

მაშ აბა რა გაუკეთა ქალაქს ოპოზიციამ ახალის საბჭოსამ?

აქ ბ-ნს „ვეტერან“-ს ჩამოთვლილი აქვს ყოველისფერი, რაც-კი მართლა ოპოზიციას გაუკეთებია. „ვეტერან“-ის სიტყვით, ოპოზიციამ მოსპო ის ძველი წესი, რომ საზოგადოების ფული სრულიად ხარჯთაღრიცხვის მიუხედავად და ხმოსნების დაუკითხავად იხარჯებოდა და იფლანგებოდა, რის გამოც ქალაქის ფინანსები მუდამ აწეწილი იყო. ეხლა ცალკე კომისიაა დანიშნული ამ საგნის განწესიერებისათვის. მომავალის წლის ხარჯთ-აღრიცხვა უკვე ახალის წესით არის შედგენილი.

ოპოზიციისავე წყალობით დაინიშნა კომისია სურსათ-სანოვაგის ფასების განწესებისათვისაც. ამიტომ ეს ერთი წელიწადია ისეთი სიიაფე ჩამოვარდა ტფილისში, როგორიც ამ 12 წლის განმავლობაში ერთხელაც არა ყოფილა. ამის გამო ქალაქს 9 თვეში 166,000 მანათით იმაზე ნაკლები დაეხარჯა სურსათ-სანოვაგეზე, რაც წინანდელის დროს მიხედვით უნდა დაჰხარჯოდა. შემდეგისთვის, „ვეტერან“-ის სიტყვით, უფრო განწესიერდება ეს საქმე.

შემდეგ ავტორი ლაპარაკობს ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის შესახებ.

ამ სასწავლებელზე 11 წლის განმავლობაში დახარჯულია 320,000 მანათი. როგორც აღმოჩნდა, ფული ყოველწლიურს ადგილობრივად ისარჯებოდა. თურმე არც ის სასწავლებლის წიგნები და დავთრები ჰქონიათ, რაც ყოველს ამ გვარს სასწავლებელს აუცილებლად უნდა ჰქონდეს. საბუთებად მარტო უბრალო ხარჯთაღრიცხვა აღმოჩნდა, რაიცა მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ 11 წლის განმავლობაში ამ სასწავლებლის შემოსავალ-გასავლის საქმე წყვდიადით ყოფილა მოცული.

მიუხედავად ამისა, ავტორის სიტყვით, ამ ექვსის წლის წინად ქალაქის წარმომადგენლებმა კინაღამ ღმერთად არ დასახეს დირექტორი ამ სასწავლებლისა ბ-ნი ხარკოვი ხუთის წლის შრომისათვის. რამდენიმე ხმოსანმა ისე გააზვიადა ხარკოვის მოღვაწეობა, რომ აღარ იცოდნენ როგორ გამოეცხადებინათ მადლობა და თანაგრძნობა და ამავე დროს გადასწყვიტეს, რომ დირექტორის ჯამაგირს ყოველ-წლივ მიემატოს ხოლმე 400 მანათიო. მხოლოდ ერთმა ხმოსანმა ა. თ. ფრიდონოვმა გაბედა ცოტა განზედ გადგომა, მაგრამ ამის გულისათვის თავზედ სულ კაკალი ამტვრიეს.

ახალმა საბჭომ მე მგონი კარგად გამოარკვია გაზვიადება და სიყალბე ამ საქმისა. ოპოზიციამ დასწყო სკოლისათვის ცალკე მეურნე კომიტეტი და ისეთი ურთიერთობა ჩამოაგდო სასწავლებლის ადმინისტრაციასა და საპედაგოგიო საბჭოს შორის, რომ ყოველივე კეთილობა შეუძლებელი შეიქმნა და ყმაწვილების სწავლება-აღზრდის საქმეს ხელს აღარ შეუშლის. ვეტერანი განაგრძობს:

ცხენის რკინის გზის საქმის გამოაშკარავებამ პირობის კვალმდე 100,000 მანათზე მეტი შეჰმატა ქალაქს, რადგან ყოველ-წლიურს შემოსავალს 1,500 მანათი მოემატა. თუ ისიც გავიხსენოთ, რომ ოპოზიციამ ერთი ხელშეკრულობა გააუქმა ბელგიის საზოგადოებასთან დადებული და ამ გზით ქალაქს 200 ათასი მანათის ზარალი ააცილა, მაშინ ცხადი შეიქმნება ყველასათვის, რომ ოპოზიციას მარტო კამათობასა და ლაყბობაზე-კი არ დაუხარჯავს დრო, არამედ საქმე უკეთებია.

ეს ღვაწლი ოპოზიციისა იმიტომ ჩამოვთვალეო, ამბობს ბ-ნი ვეტერანი, რომ მინდა მოვსპო მითქმა-მოთქმა იმის თაობაზე, ვითომ ოპოზიციას არაფერი გაუკეთებიაო და მხოლოდ ორჯელ გაშავკენჭებული იზმაილოვი კვლავ აირჩიაო.

მართალია, „ეს ზურგს ამოფარებული ქასრავლისანი“ თავისის მომხრეებით ყოველს ღონისძიებას ხმარობს, რომ ჩაფუშოს საბჭოს ოპოზიციის მოქმედება და ყველაზედ აშკარად ეს თავისი წადილი წარსულს კრებაზედ დაამტკიცაო.

აქვე მოხსენებულია შემდეგი გარემოება: საფინანსო კომისიამ შარშან მაისშივე წარადგინა მოხსენება იმის თაობაზედ, რომ ფინანსები ქალაქისა ძლიერ ცუდს მდგომარეობაშია. წარსულის ოთხის წლის განმავლობაში 200,000 მანათზედ მეტი დეფიციტი შესდგა. ქალაქს სრულიად აღარა აქვს-რა ხელში, რომ საჭირო ხარჯი გასწიოს.

რადგანაც საფინანსო კომისიას სხვა ღონე აღარა დარჩა-რა, ამიტომ ითხოვა, რომ: ა) ფუთზე $1/2$ კ. ხარჯი დაედოს ტფილისში მოტანილსა და იქიდგან რკინის გზით წაღებულს საქონელს და ბ) მოხდეს კონვერსია 6%-ან ობლიგაციებისა 5%-ზედ ქალაქის ორის სესხისა და დაწესდეს ხარჯი ქალაქის სასარგებლოდ თეატრისა და სხვა ამის მინაგვარ გასართობ ადგილების ბილეთებზედ. რადგან ამ გზით ქალაქს წლიური შემოსავალი 50,000 მან. უნდა მოჰმატებოდა, ამიტომ ითხოვეს, რაც შეიძლებოდა, მალე შეეკრიბათ საჭირო ცნობანი და შესაფერი მოხსენება წარმოედგინათ.

რაკი ასეთი შემოსავლიანი საქმე ბ-ნს იზმაილოვს მიენდო, მოსალოდნელი იყო, რომ ის დიდის გულმოდგინებით მოჰკიდებდა ამ საქმეს ხელს. ეს თავიდამ მოუშორებელი დეფიციტები ხომ პირდაპირი შედეგია ბ-ნ იზმაილოვის სამეურნეო-საფინანსო პოლიტიკისა. იმისსავე წყალობით ძველმა გამგეობამ მიართვა ფეშქაშად ყორღანოვს 250,000 მანათი ყოვლად უვარგისს მილის წყალში, რომლებსაც, როგორც აღმოჩნდა, მილებიც არ უვარგა თურმე. ბ-ნ იზმაილოვისავე წყალობით ქალაქმა ავჭალიდგან გამოიყვანა მილებით წყალი და კვლა ამ საქმეს, როგორც ბ-ნმა ზუბალოვმა სთქვა, 40 ათასის მანათის საკვირველი სჭირია. მაშ რაღად უნდა ყოფილიყო იზმაილოვი წინააღმდეგი ამ ახალის ხარჯის შემოღებისა, რომელიც საქონელს სრულიად ვერ გააძვირებდა? ჰა, როგორც გერმანელები იტყვიან, სწორედ აქა ჰმარხია ძაღლის თავი. თუმცა ბ-ნმა ქალაქის მოურავმა ბრძანა, საქმეს აწარმოებსო, მაგრამ მის მიერ წარმოთქმული სიტყვა ამ წინა კრებაზედ მასალის შესწავლაზე-კი არ იყო დამყარებული, არამედ იგი იყო მხოლოდ ნაყოფი გაცვეთილის იაფ-ფასიანის ლიბერალიზმისა... ჯერ სამი წელიწადიც არ იქნება მას შემდეგ გასული, რაც თითონ ბ-ნმა იზმაილოვმა საბჭოს ორი მეური ხარჯი შემოაღებინა ტფილისში ურმით მოტანილს შეშაზე. 1888 წ. 7 მარტის კრებაზედ ამბობდა, დეფიციტის მოსასპობლად საჭიროა ამ გვარის ხარჯის დადება და ნებაც გვაქვს ამისაო, და კიდეც ამტკიცებდა და ასაბუთებდა ამას.

ბოლოს წერილის ავტორი ადარებს ერთი-ერთმანეთს ასეთს სხვა-დასხვაობას იზმაილოვის აზრისას და ის დასკვნა გამოჰყავს, რომ სულ სხვა განზრახვა აქვს იზმაილოვს, ასე რომ იქცევაო. ეს განზრახვა, „ვეტერანის“ სიტყვით, ისაა, რომ იზმაილოვს ჰსურს გააქარწყლოს მოქმედება ოპოზიციისა, ნდობა წაუხდინოს და შემდეგ არჩევანების დროს გაიმარჯვოსო.

წერილი „ვეტერან“-ისა ამ სიტყვებითა თავდება:

ოპოზიციამ შემდეგისათვისაც ასე უანგაროდ და კეთილშობილურად უნდა განაგრძოს თავისი საქმე. დიდად უნდა ეცადოს, რომ საბჭოს გარდაწყვეტილებანი გამგეობას შეუცვლელად და დროზედ აღასრულებინოს. ამ გზით ოპოზიცია საბჭოსა დიდს სამსახურს გაუწევს მარტო ქალაქს-კი არა, არამედ თავისს სამშობლო ქვეყანასაცაო.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** გაზეთმა „Figaro“-მ წერილები დაუგზავნა გერმანიის სხვა-და-სხვა გამოჩენილს კაცს და შეეკითხა, რას იტყვით, იქნება შესაძლო, რომ მშვიდობიანობის დასაცველად ევროპაში გერმანია დასთანხმდეს და განბჭოს ელზას-ლოთრენის საფრანგეთისათვის დაბრუნების საქმე, ან-და იქნება მოსახერხებელ საქმედ სცნოს ცალკე დასტოვოს ეს ქვეყნები, რათა თვითვე განაგებდნენ თავიანთ საქმეებსაო. ამ წერილის პასუხად ფრანგულს გაზეთს ბევრისაგან მოსვლია წერილები, მაგრამ თითქმის არც ერთი-კი თანხმა არ არის, რომ ან დაუბრუნდეს ელზას-ლოთრენი საფრანგეთს, ან ცალკე დარჩეს და ამის მაგიერ სხვაგან სადმე მიიღოს გერმანიამ სამაგიერო, ვსთქვათ, ტონკინში ანუ მადაგასკარის კუნძულზედ.

გერმანიის პარლამენტის თავმჯდომარე ჰერგარდ ფონ-ლევეცოვი სწერს, რომ 10 მაისს 1871 წელს საფრანგეთსა და გერმანიას შორის დადებულ პირობის პირველი მუხლია თქვენის წერილის პასუხიო. იქა სწერია პირველსავე მუხლში, რომ ელზას-ლოთრენი სამუდამოდ დაეთმო გერმანიის იმპერიასაო.

დ-რი ს. რეიხენშპერჯერი, დეპუტატი რეიხსტაგისა, სწერს, რომ არც ერთს დასს, არც ერთს კაცს გერმანიაში ფიქრადაც არ მოუვა შეიწყნაროს აზრი ელზას-ლოთრენის ან დათმობისა და ან ცალკე დატოვებისაო.

თუ ომი მოგვიხდა ელზას-ლოთრენის გამო და ჩვენ გავიმარჯვეთ, ვეცდებით, ისეთს ყოფაში ჩავაგდოთ საფრანგეთი, რომ მეორედ ველარ დაარღვიოს ფრანკფურტის ხელ-შეკრულობაო.

შემდეგ დეპუტატი არიგებს ფრანგებს და საფრანგეთის სახელმწიფოს, მაგ ომის ქინს თავი დაანებეთ, მშვიდობიანად იშრომეთ, ეს ეჯობინებაო. მას უკან შეიძლება თოფ-იარაღი ავიყაროთ და განათლება ევროპისა მოვფინოთ მთელის დედამიწის ზურგზეო. თქვენც, ბატონო რედაქტორო, გირჩევთ, ამ აზრს გაუწიოთ მომხრეობაო.

ადოლფ ვილბრანდი, დრამატურგი და რომანისტი. ელზას-ლოთრენი ჩვენი სისხლი და ხორცია. ეს ქვეყანა ჩვენის სხეულის ნაწილი იყო იმ დღე-

---

Lex Salica ამბობდა, დიაცის გინება ისაა, როცა ბოზს ეტყვიან, და გინებისათვის ბრალდებულმა თვრამეტ ნახევარი სოლიდი გადაიხადოსო[316]). შესაძლოა, რომ საათაბაგოშიაც დიაცის გინება ბოზობით მოხსენებას ნიშნავდა. მაინც ძველად სამართალი დიაცის ნამუსს დიდს პატივსა სდებდა. Lex Salica დაწვრილებით განმარტებს, კაცს რამდენი უნდა გადახდეს, თუ ქალს ამა-და-ამ ადგილას უჩქმიტა, სხეულს ხელი შეახოო და სხ.[317]). ბევრი სხვა სამართალიც აღნიშნავს ასეთს უწესო ხელის ფათურსა. კერძოდ ინდოელების სამართალს ბრალად მიაჩნდა, თუ ვინმე ცუდის აზრით დიაცს სახლში შეუვარდებოდა[318]), და ღირს-შესანიშნავია, რომ ალბულასაც სწორედ ასეთი საქციელი ბრალად უწერია— „თუ კაცი ხუცისა ცოლსა შეუვარდეს... მისსა სისხლსა სამოცი ათასი თეთრი სხვა ემატოსო“ (მუხ. რვ).

კაცის შესახებ საათაბაგოს სამართალი ორ გვარს გინებას იხსენიებს. პირველი ლაშქარზედა გინებაა— „თუ კაცმან კაცსა უსამართლოდ აგინოს ლაშქარზედა, ოთხი ათასი თეთრი დაუურვოსო“ (მუხ. რლ). სიტყვა „უსამართლოდ“ ნიშნავს, რომ ყველა გინება ლაშქარზედაც-კი ბრალად არ ეთვლებოდა მაგინებელსა. ამას გარდა, სისხლის რაოდენობა—ოთხი ათასი თეთრი—ამტკიცებს, რომ სალაშქრო ველზედაც-კი აღკრძალული არა ყოფილა გლეხის სიტყვით შეურაცხება. მეორე გინება კერძოდ სასულიერო კაცს შეეხებოდა. ალბულა აჩენს, თუ დიდებულმა ეპისკოპოზს აგინოს, ორმოცი ათასი თეთრი დაუურვოს, ამის ნახევარი აზნაურმაო (მუხ. რზ, რჱ.—დიდი ბოდიშიც საჭიროაო). მღვდლის მაგინებლად „უქვედეც“ დასახელებულია და სისხლის მესამედი უწერია (მუხ. რთ), მაგრამ არა სჩანს-კი, რომ უქვედესის სიტყვიერად შელახვა ბრალად ვისმე სდებოდეს. გინებას გარდა, სხვაფრივაც შეიძლებოდა სიტყვით შეურაცხება. ასეთი შეურაცხებაა ნაპარევის დაწამება და გრძნეულობის შეუვლება.

გახშირებულმა პარვამ ნაპარევის დაწამებაც გაახშირა. რა ბრალია ნაპარევის დაწამება? არსებითი თვისება ამ ბრალისა ისაა, როცა კაცმა ნამდვილად არ იცის ნაპარევის საქმე და სხვას-კი სწამებს—ნაპარევი შენა გაქვსო: „თუ კაცმან ნაპარევი რამე დასწამოს კაცსა, დასტურ არ იცოდეს, ავსა და უწესოს იქს და ნუ სურისო“... ასეთი დაწამება სიტყვიერია, მხოლოდ „ავი და უწესოა“ და გადასახადი არ უწერია. მეორე დაწამება უფრო მძიმე იყო, სიტყვით და საქმით ჰმოქმედობდა. რასაკვირველია, დაწამებულს შეეძლო თავი ემართლა, ფიცისა და მოწმისათვის მიემართა. მაგრამ დამწამებელსაც ნება ჰქონდა, თავისი არ დაეშალა, „გაესაჯა, წამოეღო (ვითომდა ნაპარევი) და უბანთა ზედა გაექიქა“ უბრალოდ დაწამებული. თუ შემდეგ ნაპარევი სხვაგან აღმოჩნდებოდა, მაშინ წანაღებიც დაუბრუნოს და „რაცა დაეწამოს, ეგზომი ერთი სხვა, ამად რომ უდასტუროდ დასწამა და უბრალო გააწბილაო“ (მუხ. პზ).

გრძნეულობის შეუვლება (გრძნეულობა—чародѣйство) იმიტომ არის ბრალად აღიარებული, რომ თვით გრძნეულობა დანაშაული იყო. ძველს გერმანელებს ეგონათ, რომ ყოველ გვარი უბედურება საზოგადოებას და ცალკე კაცს გრძნეულობისაგან მოსდისო. იმათის აზრით, გრძნეული სახეს იცვლის და უფრო ხშირად მგლად გარდიქცევაო. ფრანგებს კიდევ სწამდათ, რომ გრძნეულობის მისაღებად და გამოსაჩენად კაცის ხორცის ჭამაა საჭიროო[319]). საქართველოშიაც მისდევდნენ გრძნეულობას. სასულიერო წოდებას ვალად ედვა გრძნეულნი აღმოეჩინა და დაესაჯა. იმათ ახეიბრებდნენ, ქვით ჰქოლავდნენ[320]). რადგან გრძნეულობას ასე სასტიკად სდევნიდნენ, უეჭველია, გრძნეულობის უბრალოდ დაწამებაც ბრალად ცნობილი უნდა ყოფილიყო. მაგრამ როდის?— „თუ ვერ გატეხოს“ შემყილველმაო: „თუ კაცმან კაცს გრძნეულობა შეყივლოს, სისხლის ნახევარი დაუურვოს, თუ ვერ გატეხოსო“ (მუხ. რმზ).

ალბულა მუქარასაც *) ბრალადა სთვლის. ათაბაგი ამბობს, მუქარა უსამართლო უნდა იყოს, თანასწორს შეეხებოდეს და მხოლოდ მაშინ იცნობების ბრალადაო. შესანიშნავია, რომ მუქარა მარტო „ზემოთათვის“ შეადგენდა ბრალსა და ალბად იმიტომ-რომ იგი სარცხვინელი ამბავია და ყველაფერი სარცხვინელი კიდევ უფრო მაღალ წოდებას მიაჩნია ბრალად. მუქარა ორ გვარი იყო—დიდის, დიდებულ მუქარა და უქვემოესისა: „თუ უსამართლოდ დიდმან კაცმან თავის ამხანაგს მუქარა სთხოოს, ათი ათასი დაუურვოს“, თუ უქვემოესმან—ხუთი ათასიო (მუხ. რკჲ, რკთ). რასაკვირველია, უქვემოესი მსახურს ან გლეხს არ ეთქმოდა,—სისხლის რაოდენობა ამტკიცებს, რომ უქვემოესი მაღალის საზოგადოების კაცი იყო.

ნ. ურბნელი

(შემდეგი იქნება)

---

[316]) *ibid.*

[317]) *ibid.* 140.

[318]) Совр. Об. и Др. Зак. II. 143.

[319]) *ibid.* 128—9. Беко, 135.

[320]) Сбор. Зак. Вахт. 74, прим. 5. ინგლისში მეთვრამეტე საუკუნის დამდეგსაც-კი არჩობდნენ გრძნეულებს, იქ. 219, пр. 2.

*) მ უ ქ ა რ ა—სხვათა ენაა, გაჯადოებასავით, ს. ს. ორბელიანი.

მდე, ვიდრე წაგვართმევდით. ეს ამბავი მოხდა დროსა ჩვენის სისუსტისასა და ჩვენის სამარცხვინო მდგომარეობისასა.

საფრანგეთის ფლანდრია, ბურგუნდი, სავოია კიდევ უფრო ადრე მიითვისა და მიიწება საფრანგეთმა, არ ვიცი, რით, მახვილითა, თუ პოლიტიკოსობით.

კარგად შეიტყეთ, რომ ელზას-ლოტარინგი მიეცემა საფრანგეთს მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ სულ ერთიანად გავწყდებით.

რაც მისწერეს სხვებმა გაზეთს „Figaro“-ს, ამას შემდეგ მოვიხსენიებთ.

## წვრილი ამბავი

ამას წინად პარიჟში ნადიმი ჰქონდათ ცხენის ხორცის მხმარებლებს. მთელი სადილი ამ ნადიმისა სულ ცხენისა, ვირისა და ჯორის ხორცისაგან იყო გაკეთებული. ნადიმზედ რამდენიმე სიტყვა იქმნა წარმოთქმული, ქება შეასხეს ცხენის ხორცის მხმარებლებს და ამტკიცებდნენ, ასეთი საჭმელი უფრო მარგებელია ყოველ სხვა გვარ საჭმელზედაო. ამას, სხვათა შორის, ისიც ამტკიცებს, რომ ცხენის ხორცის ხმარება ძალიან ვრცელდება ამ ბოლოს დროს პარიჟშიო. პარიჟში ამ ჟამად არსებობს 194 ცხენის სასაკლაო, სადაც წარსულის წლის განმავლობაში 21,231 ცხენი დაუკლავთ, 61 ჯორი და 275 ვირი.

— ინგლისის გაზეთების სიტყვით, კორსეტი ახლა სხვა საგნისათვისაც გამოუყენებიათ კანადაში. კანადაში სპირტეულ სასმლების ყიდვა კანონით აღკრძალულია. ახლა ადგილობრივს პოლიციას აღმოუჩენია, რომ სასაზღვრო-ში კორსეტებში ჩაუსხავთ მაგარი სასმელი და მუშტრებზე აქედგან სვამდნენ თურმე რეზინის მილით.

— მეჩვიდმე პრინცი ლეოპოლდ ისენბურგ ბირშტეინი ირთავს ამერიკელ მილიონების პატრონის ვანდერბილტის ქალს, რომელსაც მამა 60 მილიონ მანეთს აძლევს თურმე. მზითვად

— ლონდონის გაზეთ „Times“-ში დაბეჭდილია სასაცილო განცხადება. აი ეს განცხადებაც: „ერთი კეთილშობილი ედინბურგელი ქალი, ცხოველთა და კატის მეგობარი, ინგლისიდგან სხვაგან აპირებს წასვლას და სურს თავისი საყვარელი ძაღლი მიაბაროს სასულ-განთქმულის ექიმის მზრუნველობას. თანახმა ძაღლის მოვლისათვის წლიურად ორასი თუმანი გადაიხადოს, მხოლოდ უკეთესი-კი იქნება, რომ ძაღლის მომვლელი ექიმი უშვილო იყოს და სახლში სხვა ცხოველი არა ჰყავდეს-რაო“. ეს განცხადება სწორედ ქ-ნს ეგერტონის ანდერძის წერილსა ჰგავს. ამ ქალბატონმა მთელი თავისი ქონება და ათასს თუმნამდე წლიური შემოსავალი თავისს თუთიყუშს უანდერძა.

— ცხოველების სიყვარულის შესახებ ამოვარდა ლაპარაკი და ბარემ აქავე აღვნიშნოთ, რომ გამოჩენილ არტისტ-ქალს სარა ბერნარსაც ძალიან უყვარს ცხოველები. როგორც ნიუ-იორკიდგან სწერენ გაზ. „Temps“-ს, სარა ბერნარისათვის სენ-ლუის არც ერთს სასტუმროში არ მიუციათ ბინა, რადგანაც მაიმუნები და კატები ბევრი ჰყავთ და ვერ დაგვაყენებთო. არტისტი-ქალი იძულებული იყო თურმე მთელი ღამე თავისს ვაგონში გაეტარებინა.

## წერილები რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის შემწეობით უგულითადესი მადლობა განვუცხადო ბ-ნს ალ. თოიძეს, რომელმაც საბავშვო ჟურნალი „ჯეჯილი“ დაუკვეთა რწმუნებულს ჩემდამო სკოლას მთელის წლით, და ბ-ნს კ. თ—ძეს, რომელმაც ჩემი სავე სკოლის შეგირდებისათვის გადმომცა ოც-და-ათი ცალი მის მიერ დაბეჭდილის წიგნისა „ამპარტავანი გიორგი“.

აკეთის სკოლის მასწავლებელი არსენ წითლიძე.

## დეპეშა

6 მარტი

**ლიბავა,** 5 მარტი. დღევანდელს საღამოს გაემგზავრა მოუსავლობით დაზარალებულს ქვეყნებში პირველი მატარებელი 27 ვაგონით, რომელიც დატვირთულია გემ „Индіана“-თი მოტანილ პურითა. მატარებელი მორთული იყო რუსეთისა და ამერიკის ბაირაღებით.

**ლონდონი.** მთა-მადნების მუშათა დღევანდელს კრებაზედ ერთხმად იქმნა გადაწყვეტილი: „რადგან ჩვენის გაფიცვითა და მუშაობაზე ხელის აღებით ჩვენი საწადელი შევისრულეთ, ამიტომ ყველამ, ვინც-კი მთა-მადნის მუშა ჩვენის ამხანაგობისაა, ორშაბათს დაიწყოს კვლავ მუშაობაო.

**ლიუცერნი.** დიდმა საბჭომ უარჰყო თხოვნა შეწყალებისა, მირთმეული კაცის-მკვლელის გატტის მიერ. ამ სახით ხვალ შესრულდება სიკვდილით დასჯა კაცისა, რაიცა შვეიცარიაში აღარ მომხდარა აგერ რამდენიმე ათი წელიწადი იქნება.

პეტერბურგის ბირჟა, 3 მარტი.

| | მყიდვე-ლისა. | გამყი-დველისა. | გაუყიდ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7, 97 | 8 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები | 159¼ | 160 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — „ | 1, 16 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 236 |
| —მეორისა | 218 | — „ | — „ |
| —მესამისა | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | 198 | — „ | 200 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% | — „ | — „ | — „ |
| 5% | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6% | — „ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე; მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის კერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განთიადისას.

ფოთიდგან გადის:

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობითი-საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

## რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . . , . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

# განცხადებანი


კბილის ექიმი

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 10 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—27)

დაიბეჭდა და ისყიდება

წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების

წიგნის მაღაზიაში

(სააზნაურო ბანკის ქარვასლა №№ 125 და 126):

**ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი.**

შექსპირის დრამები,

გადმოკეთებული ს. ყიფიანის მიერ

ფასი 20 კაპ.

დაიბეჭდა და ისყიდება

ქართულ წიგნების ამხანაგობის მაღაზიაში და წერა-კითხვის კანცელარიაში:

**სამშობლო ქვეყნს მოღვაწეები**

დიმიტრი ბაქრაძე

ფასი 20 კაპ.

САТУАЛЕТО САШУАЛЕБА — საჭუალეტო საშუალება დედათათვის



**БЕРЕЗОВЫЙ БАЛЬЗАМЪ**

**Д-РА ЛЕНГИЛЯ ВЪ ВѢНѢ.**

იხმარება კანისა, სახისა და ხელების დასაბანად.

წესი ხმარებისა: ამ ბალზამის შემზადების დროს უმთავრესი ყურადღება იმასა აქვს მიქცეული, რომ ისეთი მასალა არა ერიოს-რა შიგ, რაც კანს ახდენს და აფუჭებს. ფასი: შუშაჭურს 1 მ. 65 კ. ბენზოს საპონი 35 კ. და 50 კ. ნაჭერი და ოპო პომადა (კოლდ-კრემს სჯობია) 1 მ. შეხვევა და გაგზავნა ევროპის რუსეთში 70 კ., აზიის რუსეთში—1 მ. უმთავრესი საწყობი მთელის რუსეთისათვის იმყოფება ვ. აურიხთან, ს.-პეტერბურგს, კოლოკოლ., 18—19. შეიძლება ყიდვა ყოველს საპარფიუმერო და საафთიაქო მაღაზიაში და რუსეთის ზოგიერთს აფთიაქში. (7—4)

**პირველი ზეთის გამოსახდელი ქარხანა ი. თაიროვისა და კ. ალიხანოვისა ქალ. ტფილისში.**

დიდ-მარხვისათვის ქარხანაში ისყიდება ნარდად მყიდველთათვის **ზეთები:** ა) საჭმელად: შირბახტისა, სელისა, სოკოსი, კანაფისა, ბ) კანდელისა, გ) მოხარშული, საღებავ წამლებისთვის, აგრეთვე ჩენჩო ძროხებისა და ხარების საკვებად. წვრილ წვრილად შირბახტის ზეთი გირვანქიან და ორ გირვანქიან შუშებით ისყიდება შემდეგს მაღაზიებში: 1) საафთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობაში, 2) კოვანის მაღაზიებში, გოლოვინის პროსპექტზედ, დობრჟანსკის სახლის პირდაპირ და ვარანცოვის ძეგლის მახლობლად, 3) ბ. ალიხანოვთან, გოლოვინის პროსპექტზედ, დობრჟანსკის სახლის პირდაპირ. 4) გ. მირზახანოვთან პუშკინის ქუჩაზე, 5) გრ. ბეჟანოვთან მიხეილის ქუჩა, 6) დ. მაკაროვთან ნიკოლოზის ქუჩა, საკუთ. სახლი, 7) ვარვაროვთან, გოლოვინის პროსპექტი, ორბელიანის სახლის პირდაპირ და 8) სარაჯოვთან გოლოვინის პროსპექტი, ბაბანასოვის სახლი. ყოველგვარ ზეთის წვრილ წვრილად ყიდვა შეიძლება საკუთარს საწყობებში: 1) იარმუკაზე, ბუდაღოვის სახლში, ყასბების გვერდზე, 2) თათრის მოედანი, ქალაქის ფიცრის ფარდული, 3) ოლგას ქუჩა, მებურნუთოვის სახლი, ქვის ნახშირის საწყობთან და 4) ავლაბრის მოედანი, ქალაქის ფიცრულის ფარდული № 1. (10—6)

**გამოვიდა და ისყიდება**

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ და „წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ მაღაზიაში ახალი წიგნი

**ზ ა დ ი გ ი**

მოთხრობა ვოლტერისა

გადმოთარგმნილი ა. ახნაზაროვის მიერ

ფასი 20 კაპ.

იქავე ისყიდება ა. ახნაზაროვის მიერვე გადმოთარგმნილი ოთხ-მოქმედებიანი დრამა თ. ა. სუმბათაშვილისა „ბორკილი“ და ჰღირს 40 კაპ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**„ივერია“**

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | |
|---|---|---|
| 12 თთვით. . . . 10 მ.—კ. | | 6 თთვით . . . . 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . . 9 „ 50„ | | 5 „ . . . . 5 „ 50„ |
| 10 „ . . . . 8 „ 75„ | | 4 „ . . . . 4 „ 75„ |
| 9 „ . . . . 8 „ —„ | | 3 „ . . . . 3 „ 50„ |
| 8 „ . . . . 7 „ 25„ | | 2 „ . . . . 2 „ 75„ |
| 7 „ . . . . 6 „ 50„ | | 1 „ . . . . 1 „ 50„ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში. № 21.


Дозв. ценз. Тифлисъ, 6-го Марта 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.